

„მასთ ქარის“ პრინციპი ოფიციალურად დარეგისტრირდა

დათო ბაჩიაშვილი

კანონპროექტი, რომელიც არჩევნებამდე „მასთ ქარის“ პრინციპს უზრუნველყოფს, გუშინ ბიუროზე დარეგისტრირდა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ამბობს, პარლამენტი კანონპროექტს დაჩქარებული წესით, ხუთშაბათის რიგგარეშე სხდომაზე - პირველი მოსმენით, ხოლო პარასკევს მე-2-3 მოსმენით დაამტკიცებს. პროექტი საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს. მისი ამოქმედების შემდეგ, საკაბელო ოპერატორი კომპანიები ვალდებული იქნებიან, საერთო არჩევნების გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლიდან არჩევნების დღემდე (კანონმდებლობით, პრეზიდენტი არჩევნების გამართვის თარიღს არჩევნებამდე არანაკლებ 60 დღით ადრე აცხადებს), საინფორმაციო არხები გადასცენ. საქმე ის არის, რომ საკაბელო კომპანიები მხოლოდ იმ მაუწყებლებს გადასცემენ, რომელ ტერიტორიაზეც გააჩნია მაუწყებლობის ლიცენზია ამა თუ იმ ტელეარხს. სატელევიზიო მაუწყებლობის უფლების მქონე ტელეკომპანიებს კი საკაბელო ოპერატორები მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩართავენ.

საკანონმდებლო ცვლილებით ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილის ცოლის სახელზე გაფორმებული „მე-9 არხი“ და ტელეკომპანია „მანესტრო“ იხეირებენ (მათ სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზია აქვთ). ტელეკომპანია „კავკასიისთვის“ კი კანონპროექტი მიუღებელია. „კავკასიის“ დირექტორმა ნინო ჯანგირაშვილმა „ფეისბუქის“ გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც მიუთითებს, რომ „კავკასიას“ „მასთ ქარის“ პრინციპი საერთოდ არ ეხება.

ბაჩიაშვილი

ბაჩიაშვილი
მე-2 ბაჩიაშვილი

ბიძინა ივანიშვილის ქონებას ყადაღა დაედო

კოალიცია ქართული ოცნების ლიდერის ბიძინა ივანიშვილისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის ვადა გუშინ, ღამის 12 საათზე ამოიწურა. ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე აღსრულების ეროვნულმა ბიუროს საქმის წარმოება დაიწყო.

ჩვენ არაფერს ვეგვამავთ და ველოდებით სააღსრულებო ბიუროს მოქმედებებს, - გუშინ მთელი დღის მანძილზე აცხადებდნენ «ქართული ოცნების» ლიდერის ადვოკატები. ყველაფერი კანონის თანახმად მოხ-

დება, - ასე პასუხობდნენ მათ სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენლები, რომლებმაც დღის ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ყადაღა დაადეს ბიძინა ივანიშვილის აქციების 100 პროცენტს «ქართუ ჯგუფში», აქციების 100 პროცენტს «ქართუ ბანკში» და აქციების 21.7 პროცენტს «პროგრეს ბანკში». „სააღსრულებო საქმის წარმოების პროცესში განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის სახელზე რიცხვითი ქონების მოძიება. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს სს „ბანკი ქართუსა“

და სს „პროგრეს ბანკის“ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ სს „ბანკი ქართუს“ აქციების 100 პროცენტს ფლობს სს „ქართუ ჯგუფი“, რომლის აქციების 100 პროცენტის და სს „პროგრეს ბანკის“ აქციების 21.7 პროცენტის მესაკუთრეა ბიძინა ივანიშვილი. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენს სს „ბანკი ქართუს“ აქციების 100 პროცენტისა და სს „პროგრეს ბანკის“ აქციების 21.7 პროცენტის ბენეფიციარ მესაკუთრეს, - ასეთი განცხადება გაავრცელა გუშინ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

ბაჩიაშვილი
მე-2 ბაჩიაშვილი

სირია-თურქეთი: ნათო-ს პასუხი



ხათუნა ბაჩიაშვილი

თურქეთმა სირიის მიმართ ლმობიერი ტონი უკვე მუქარით შეცვალა. სამხედრო და დიპლომატიური სკანდალი უკვე გადაიზარდა ჯერ სიტყვიერ, მაგრამ მკაცრ დაპირისპირებაში, თურქეთმა გაძლიერებული სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა და აღნიშნა, რომ ნებისმიერი დაუფიქრებელი სამხედრო მოქმედება თუ პროვოკაცია სირიის მხრიდან თურქეთის საზღვართან სამხედრო მუქარად იქნება აღქმული, რაზეც დამასკო შესაბამის პასუხს მიიღებს.

ბაჩიაშვილი
მე-4 ბაჩიაშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებას ბანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის

ინტერვიუ CERN-ის გენერალურ დირექტორთან
პროფესორ როლფ-დიტერ შოიერთან



პროფესორი როლფ-დიტერ შოიერი

საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მეცნიერების განვითარებისთვის 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ეს თანხა საკმარისია იმისთვის, რომ 2000-მა ქართველმა მეცნიერმა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა. სამეცნიერო დარგების განვითარებას ისახავს მიზნად, ასევე, ის მემორანდუმში, რომელიც გასული წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობამ ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრ CERN-თან გააფორმა.

ბაჩიაშვილი
მე-3 ბაჩიაშვილი

1 აშშ დოლარი	1.6476 ლ
1 ევრო	2.2056 ლ
1 ინგლისური გირვანქა	2.6029 ლ
1 თურქული ლირა	0.9351 ლ
100 რუსული რუბლი	5.5948 ლ
თბილისი	11°C - 2°C
ქუთაისი	6°C - 3°C
თელავი	7°C - 1°C
ზუგდიდი	6°C - 3°C
ბათუმი	9°C - 5°C
ნავთობი	3.30 +0.01 +0.36%
გაზი	2.54 -0.08 -3.19%
ოქრო	1,774.80 -11.50 -0.65%
ხორბალი	641.00 +0.25 +0.04%

სიახლეები "დინამოში": კარგად ნაცნობი ახალი ქველი



ბჭ. 11
დუშან უგრინს ამბიციური გეგმები აქვს

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალცი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გეოგრაფიკული ატლასი	15.90	11.00

„24 საათის“ ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

- თიბისი ბანკი TBC BANK
- FM 102.4
- ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121



